



დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საქართველოში

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკოორდინაციო ერთეულის ჩამოყალიბების
დეტალური სამოქმედო გეგმა

სტრუქტურა

სამუშაო ვერსია

კონტრაქტის N: TAGA-GEO-230
ავტორი/ავტორები: ანა რუხაძე
ჩაბარების თარიღი: ნოემბერი, 2022

ანგარიშში წარმოდგენილი ნებისმიერი აზრი, შედეგები, დასკვნები ან რეკომენდაციები ეკუთვნის
ავტორებს და არ გამოხატავს კავკასიის ბუნების ფონდის, მისი თანამშრომლების და მისი
დამფუძნებლების მოსაზრებას.

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ტექნიკური დახმარების ხელშეკრულების ფარგლებში, რომლის მიზანია **ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკოორდინაციო ერთეულის (BMCU) ჩამოყალიბების დეტალური გეგმის მომზადება.**

BMCU-ის ჩამოყალიბების დეტალური სამოქმედო გეგმა მუშავდება პროექტის „დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისა (GEF) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით „კავკასიის ბუნების ფონდის“ (CNF) მიერ.

ტექნიკური დავალებით განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- i. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკოორდინაციო ერთეულის კონცეფციის გადახედვა და ზოგიერთი დეტალის დაზუსტება, რათა კონცეფცია მისაღები იყოს ყველა დაინტერესებული მხარისათვის;
- ii. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკოორდინაციო ერთეულის ჩამოყალიბების დეტალური გეგმის მომზადება.

ტექნიკური დავალების შესაბამისად პირველ ეტაპზე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე მომზადდა **ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკოორდინაციო ერთეულის (BMCU) დაზუსტებული კონცეფცია**, რომლის საფუძველზეც შემუშავდა **BMCU-ის ჩამოყალიბების დეტალური სამოქმედო გეგმა.**

2. ფონური ინფორმაცია

დღეისათვის, საქართველოში კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ბიომრავალფეროვნების სათანადო დაცვა და კონსერვაცია. აღნიშნულის გამომწვევი ერთერთი მიზეზია სუსტი შესაძლებლობები ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისათვის და მის საფუძველზე ბიომრავალფეროვნების სხვადასხვა კომპონენტის მდგომარეობისა და ტენდენციების შესახებ სანდო, მეცნიერულად დადასტურებული მონაცემების სისტემატური მოპოვების, ანალიზისა და ინტერპრეტაციისათვის, რაც აუცილებელია ეფექტური და ადაპტური კონსერვაციული მენეჯმენტის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

მიუხედავად ბოლო წლებში დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერისა და სამეცნიერო ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება კვლავ რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად, როგორც დაცული ტერიტორიების სისტემის ფარგლებში, ისე ეროვნულ დონეზე.

როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე დაცული ტერიტორიების სისტემის¹ ფარგლებში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემა თითქმის უკვე 10 წელია ყალიბდება, მიუხედავად განვლილი წლების მანძილზე მონიტორინგის სისტემის გასაძლიერებლად გაწეული ძალისხმევებისა და ინვესტიციებისა, მონაცემთა შეგროვების ეფექტურობა, ასევე, მონაცემთა სრულყოფილება და სანდოობა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. ეს

¹ აქ იგულისხმება ის დაცული ტერიტორიები, რომლებსაც მართავს დაცული ტერიტორიების სააგენტო (სახელმწიფო ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ბუნების ძეგლები და ადკვეთილები)

განპირობებულია, ტექნიკური და ფინანსური რესურსების ნაკლებობით, გაწვრთნილი პერსონალის გადინებით სისტემიდან, არსებული კადრების არასათანადო კვალიფიკაციით.

გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანი გამოწვევაა მონაცემთა შეგროვების, არქივირებისა და ანალიზის ერთიანი სახელმძღვანელოებისა და წესების, ასევე მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის არარსებობა, სადაც მოხდებოდა ცალკეული დაცული ტერიტორიების ფარგლებში გენერირებული პირველადი მონაცემების შენახვა და ანალიზი.

განსაკუთრებულ გამოწვევად რჩება **კოორდინაციის არარსებობა** ეროვნულ და დაცული ტერიტორიების სისტემის დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კუთხით. ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებული ინდიკატორები², ასევე ინფორმაცია შერჩეული სახეობების პოპულაციებისა და ჰაბიტატების მდგომარეობისა და ტენდენციების შესახებ, რისთვისაც მონაცემების მნიშვნელოვანი წყარო სწორედ დაცული ტერიტორიების ფარგლებში წარმოებული კვლევები და მონიტორინგია. თუმცა დღეისათვის არ არსებობს დაცულ ტერიტორიების სისტემასა და ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემას შორის კოორდინაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა დაცული ტერიტორიების ფარგლებში იმ მონაცემების შეგროვებას, რომლებიც მნიშვნელოვანია ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისთვის, ასევე ამ მონაცემების შეგროვებას ეროვნულ დონეზე შეთანხმებული მეთოდოლოგიით, რაც უზრუნველყოფდა მათ თავსებადობას (შემდგომი კონსოლიდაციისა და ანალიზის მიზნით) სხვა წყაროებიდან მიღებულ მონაცემებთან.

თავის მხრივ, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემა ეროვნულ დონეზე ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია³. შემუშავებულია მონიტორინგისათვის პრიორიტეტული სახეობების სია, რომელიც მოიცავს როგორც ინდიკატორულ სახეობებს, ასევე საკვანძო სახეობებს. მაგრამ არ არის შემუშავებული ცალკეული სახეობების ან ჰაბიტატების მონიტორინგისთვის სტანდარტული მეთოდოლოგიები. არ არის შექმნილი მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა, სადაც მოხდებოდა სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციისა და მონაცემების თავმოყრა და შენახვა. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის განვითარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების (დეტალურად იხ. ქვემოთ, თავი 3.1.1) შესაძლებლობები უადრესად შეზღუდულია, როგორც ადამიანური რესურსების, ისე ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის კუთხით. არ არის ჩამოყალიბებული მონიტორინგის ქსელი. განხორციელებულია მხოლოდ ზოგიერთი სახეობისა და ჰაბიტატის საბაზისო კვლევა, ხოლო მათი მონიტორინგი არარეგულარული ხასიათისაა. საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება დაცული ტერიტორიების ფარგლებში და არ იძლევა სრულყოფილ სურათს მათი პოპულაციების მდგომარეობისა და ტენდენციების შესახებ ქვეყნის მასშტაბით.

² როგორცაა მაგალითად დაცული ტერიტორიების, მათ შორის მკაცრად დაცული ტერიტორიების ფართობის წილის ცვლილება ქვეყნის საერთო ფართობთან მიმართებით, დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობა და სხვა.

³ ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემა უკვე 10 წელია ყალიბდება სხვადასხვა დონორების მხარდაჭერით (GIZ, UNDP, UNEP). 2012 წელს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანებით (# 262, 18.12.2012) დამტკიცდა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის ინდიკატორების, მათი აღწერის მეთოდოლოგიებისა და წარმოების წესი. UNDP-ის პროექტის „ინფორმაციის მართვის ჰარმონიზაცია გარემოს შესახებ ცოდნისა და მონიტორინგის გაუმჯობესებისათვის საქართველოში“ ფარგლებში განვითარდა გარემოსდაცვითი ცოდნისა და ინფორმაციის მართვის სისტემა (eims.mepa.gov.ge), რომელიც მოიცავდა ბიომრავალფეროვნების მოდულს (6 ქვე-მოდულით, მათ შორის, სახეობები და ჰაბიტატები, დაცული ტერიტორიები, ტყის ეკოსისტემები, ნადირობა და თევზჭერა, ბიოსაფრთხობა, ფინანსური რესურსები). სამწუხაროდ, დღეისათვის აღნიშნული პლატფორმა არ ფუნქციონირებს.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მიმართულებით არსებული გამოწვევების გადალახვის ერთერთ საშუალებად დაინტერესებული მხარეები მიიჩნევენ სისტემის **ინსტიტუციონალიზაციას**. CNF-ის მხარდაჭერით, სახეობათა კონსერვაციის ცენტრის ნაკრესის კოორდინაციით და დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართულობით განხორციელდა კვლევა საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემაში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ინსტიტუციონალიზაციის ვარიანტების/მოდელების იდენტიფიცირების მიზნით. კვლევის შედეგად შემუშავდა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ინსტიტუციური მოწყობის სამი განსხვავებული მოდელი. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შემდგომ, მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **სხვადასხვა დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კოორდინაციის ინსტიტუციონალიზაცია** და ამ კონტექსტში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ეროვნული დონე) და დაცული ტერიტორიების სააგენტოს (დაცული ტერიტორიების სისტემის დონე) შესაძლებლობების გაძლიერება.

3. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ინსტიტუციური მოწყობის კონცეფცია

3.1 ძირითადი პირობები და დაშვებები

3.1.1 ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკოორდინაციო ერთეული, როგორც ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ინსტიტუციური მოწყობის ძირითადი რგოლი

დღეისათვის, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი წარმოადგენს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებული სტრუქტურული ერთეულისა და მის სისტემაში შემავალი რამდენიმე უწყების ფუნქციას (ამ კუთხით აღნიშნული სტრუქტურული ერთეულებისა და უწყებების ფუნქციები უფრო დეტალურად განხილულია ქვემოთ).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ვერ ხედავენ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკოორდინაციო ერთეულის, როგორც ახალი განცალკევებული სტრუქტურული ერთეულის შექმნის საჭიროებას, არც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში და არც დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბების სამოქმედო გეგმა მიმართულია არსებული სტრუქტურული ერთეულების შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რათა მათ შეძლონ ბიომრავალფეროვნების სრულყოფილი და ეფექტური მონიტორინგის დაგეგმვა და განხორციელება. თუმცა, სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ასევე განხილული იქნება სამომავლოდ ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის განცალკევებული სტრუქტურული ერთეულის შექმნის საკითხი.

3.1.2. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი ეროვნულ, დაცული ტერიტორიების სისტემის და ცალკეული დაცული ტერიტორიების დონეებზე

ყველა დაინტერესებულ მხარეს ერთნაირად უნდა ჰქონდეს გააზრებული სხვადასხვა დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ამოცანები და დანიშნულება. ქვემოთ განხილულია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ამოცანები ეროვნულ დონეზე, დაცული ტერიტორიების

სისტემისა და ცალკეული დაცული ტერიტორიების დონეებზე, ასევე, სხვადასხვა დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კოორდინაციის მნიშვნელობა და საჭიროებები.

➤ **რას მოიცავს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემა ეროვნულ დონეზე**

ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის მიზნებია ბიომრავალფეროვნების სხვადასხვა კომპონენტების მდგომარეობის შეფასება, ცვლილებებისა და ტენდენციების, მათი გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა, შესაბამისი პოლიტიკისა და რეაგირების ღონისძიებების დანერგვისათვის. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგების საფუძველზე უნდა განისაზღვროს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების მიზანმიმართული პოლიტიკა, იდენტიფიცირებული იქნეს პრიორიტეტები, გაუმჯობესდეს დაგეგმვა, საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს სათანადო საკანონმდებლო ცვლილებები.

ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე ანგარიშების ვალდებულებები, კერძოდ თუ რა მონაცემები და ინფორმაცია უნდა იქნეს მოპოვებული და გაანალიზებული, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სრულყოფილი და ყოვლისმომცველი ანგარიშების მომზადება და წარდგენა საერთაშორისო კონვენციების ფარგლებში, რომელთა მხარეც არის საქართველო, ასევე ეროვნულ დონეზე, მაგალითად გარემოს მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებისას.

აღნიშნულის შესაბამისად, ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემა უნდა მოიცავდეს მრავალ სხვადასხვა მიმართულებას და ინდიკატორებს, მათ შორის ინდიკატორებს, რომლებიც აღწერს ცალკეული სახეობების პოპულაციებისა და ჰაბიტატების მდგომარეობას და ტენდენციებს ეროვნულ დონეზე, სახეობათა კონსერვაციული სტატუსების ცვლილებებს, ბიომრავალფეროვნებაზე მოქმედი საფრთხეების (ჰაბიტატების მოდიფიცირება, დაბინძურება, ინვაზიური სახეობების გავრცელება, რესურსების არამდგრადი მოპოვება, კლიმატის ცვლილება) ინტენსივობის ცვლილებებს, დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების მდგომარეობას, ცალკეული ეკოსისტემების, მაგალითად ტყეების მდგომარეობას, საზოგადოების ცნობიერებისა და დამოკიდებულების ცვლილებას ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების მიმართ, ბიომრავალფეროვნების დაცვისათვის ფინანსური რესურსების მობილიზაციის ტენდენციას და ა.შ.⁴

ცხადია, სხვადასხვა ინდიკატორის მიხედვით განსხვავებულია მონაცემების წყაროები და ანალიზის მეთოდები. სხვადასხვა ინდიკატორების მიხედვით მონაცემების წყარო შეიძლება იყოს:

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში არსებული სტრუქტურული ერთეულები და სააგენტოები;
- სამინისტროს მიერ შესყიდული მომსახურება;
- დონორი ორგანიზაციების მხრიდან გაწეული დახმარების შედეგად განხორციელებული კვლევები;
- არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო ინსტიტუტების/უნივერსიტეტების მიერ განხორციელებული კვლევები.

⁴ „ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის წარმოების წესი“ (დამტკიცებულია გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 18 დეკემბრის #262 ბრძანებით) მოიცავს 25 ინდიკატორის (მდგომარეობის-ზეწოდის-საპასუხო ქმედებების ინდიკატორები). აღნიშნული წესის დამტკიცების შემდგომ ინდიკატორების სია რამდენჯერმე განახლდა, თუმცა მინისტრის ბრძანებაში შესაბამისი ცვლილებები არ შესულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის კოორდინაცია მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ საკითხებს:

- ეროვნული დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ინდიკატორების განსაზღვრა;
- ცალკეული ინდიკატორის მიხედვით მონიტორინგის (პირველადი მონაცემების შეგროვება, შენახვა, ანალიზი, ანგარიშგება) ერთიანი, უნიფიცირებული, სტანდარტული მეთოდოლოგიების შემუშავება (რაც შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად ცალკეული სახეობების მონიტორინგის სტანდარტულ მეთოდოლოგიას);
- მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად ზედამხედველობის განხორციელება;
- ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვება სხვადასხვა წყაროებიდან და ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არქივირება;
- სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის კონსოლიდაცია, ანალიზი და ინტერპრეტაცია;
- მიღებული შედეგების მიხედვით ანგარიშგება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე;
- მიღებული შედეგების მიხედვით ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების პოლიტიკის განსაზღვრა, საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება საკანონმდებლო ცვლილებებისთვის.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის ორგანიზება და კოორდინაცია არის ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ამოცანა⁵. ამ ამოცანის გადაჭრაში მონაწილეობას იღებს დეპარტამენტის სტრუქტურაში შემავალი სამივე სამმართველო (ბიომრავალფეროვნების სამმართველო, ტყის პოლიტიკის სამმართველო და დაცული ტერიტორიების პოლიტიკის სამმართველო) თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში.

დეპარტამენტის დებულების თანახმად, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის ორგანიზება და კოორდინაცია ძირითადად არის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს ფუნქცია. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემა მოიცავს მრავალ სხვადასხვა მიმართულებას და მნიშვნელოვნად შეიძლება სცილდებოდეს ერთი სამმართველოს კომპეტენციებს.

მაგალითად, ტყის პოლიტიკის სამმართველოს კომპეტენციას განეკუთვნება ტყის ეროვნული აღრიცხვისა და ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის (FIMS) უზრუნველყოფა, აგრეთვე ტყეების მდგომარეობის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, და შესაბამისად ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნულ სისტემაში ტყის ეკოსისტემებთან დაკავშირებული ინდიკატორების წარმოება.

შესაბამისად, ასევე კონკრეტულად უნდა იქნეს განსაზღვრული, თუ რომელი ინდიკატორების წარმოება არის ბიომრავალფეროვნების ან დაცული ტერიტორიების პოლიტიკის სამმართველოების კომპეტენცია. ფუნქციებიდან გამომდინარე, დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ინდიკატორების წარმოება უნდა იქნეს დაცული ტერიტორიების პოლიტიკის სამმართველოს კომპეტენცია⁶. ხოლო, ცალკეული სახეობების პოპულაციებისა და ჰაბიტატების ტენდენციების, სახეობების კონსერვაციული სტატუსების ცვლილებების, ინვაზიური სახეობების გავრცელების და სხვა მსგავსი ინდიკატორების წარმოება უნდა იქნეს ბიომრავალფეროვნების სამმართველოს კომპეტენცია.

⁵ ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის დებულება, დამტკიცებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით #2-1385, 2021 წლის 27 სექტემბერი

⁶ აღსანიშნავია, რომ „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ კანონის თანახმად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელოს დაცულ ტერიტორიებში გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და მეცნიერული კვლევის კოორდინირება.

ბიომრავალფეროვნების ეროვნული მონიტორინგის სისტემის კომპლექსურობიდან გამომდინარე ზოგიერთი ინდიკატორის (საზოგადოების ცნობიერება და დამოკიდებულება, ფინანსური რესურსების მობილიზაცია, გარემოს დაბინძურება) წარმოება შესაძლოა სცილდებოდეს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის კომპეტენციას და შესაძლოა იყოს სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვა სტრუქტურული ერთეულების ამოცანა.

ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის უმნიშვნელოვანესი ნაწილია **შერჩეული სახეობებისა და ჰაბიტატების მონიტორინგი**, რაც მოიცავს ქვეყნის მასშტაბით მონაცემთა სისტემურ შეგროვებას და ანალიზს როგორც ველური მცენარეებისა და გარეული ცხოველების პოპულაციების, ასევე, ჰაბიტატების შესახებ.

CNF-ის მანდატიდან და პროექტის „დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საქართველოში“ მიზნებიდან გამომდინარე აღნიშნული პროექტის ფარგლებში CNF მხარს უჭერს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის განვითარებას სახეობებისა და ჰაბიტატების მოდულის ჩამოყალიბებისა და პილოტირების გზით.

*აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვემოთ **ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი** გულისხმობს მხოლოდ სახეობებისა და ჰაბიტატების, ასევე სხვადასხვა ეკოსისტემების (ტყის, მდელოების, მტკნარი წყლების და სხვა) მონიტორინგს ანუ ქვეყნის მასშტაბით სახეობების (გარეული ცხოველების, ველური მცენარეებისა და სოკოების) შესახებ მონაცემთა სისტემატურ შეგროვებას, ანალიზს და ინტერპრეტაციას⁷. ეკოსისტემური სერვისების, სხვადასხვა ეკოსისტემების ტენდეციების მონიტორინგი ხორციელდება ცალკეული კვლევების საშუალებით, რომლებიც მოითხოვს მნიშვნელოვან ბიუჯეტს. ეს უკანასკნელი საკითხი სამოქმედო გეგმით დაფარული იქნება დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგების მიხედვით.*

ცალკეული სახეობებისა და ჰაბიტატების მდგომარეობის მონიტორინგი ეროვნულ დონეზე უნდა ხორციელდებოდეს არა მხოლოდ დაცული ტერიტორიების ფარგლებში, არამედ მათ ფარგლებს გარეთაც, იმისათვის, რომ გამოვლინდეს ამ სახეობის პოპულაციის ტრენდი ეროვნულ დონეზე და არა მხოლოდ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე. ცალკეული სახეობების პოპულაციებისა და ჰაბიტატების გავრცელება არ შემოიფარგლება დაცული ტერიტორიების სისტემით (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა). შესაბამისი კონსერვაციული სტრატეგიების განსაზღვრისა და სახეობების მართვის გეგმების შემუშავებისათვის, მნიშვნელოვანია ამა თუ იმ სახეობის პოპულაციის მდგომარეობის ან ტენდეციის გამოვლენა ქვეყნის დონეზე (ან უფრო ფართოდ რეგიონის დონეზე). ამიტომ რეკომენდირებულია სახეობებისა და ჰაბიტატების მონიტორინგის სისტემის განვითარება მოხდეს ეროვნულ დონეზე, რომელიც აუცილებლად დაცულ ტერიტორიებსაც ფარავს და რომელიც თავს მოუყრის, შეაჯერებს და გაანალიზებს ქვეყნის დონეზე სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას სახეობებისა და ჰაბიტატების შესახებ, მათ შორის:

- დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული დაცული ტერიტორიების ფარგლებში მიმდინარე მონიტორინგის პროგრამებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული კვლევებიდან;

⁷ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ანალოგიური ჩარჩო არის განსაზღვრული საერთაშორისო ექსპერტის მიერ მომზადებულ ტექნიკურ დოკუმენტში „ევროპის ქვეყნების მიდგომებზე დამყარებული გამოცდილება და რეკომენდაციები“ (Technical Background Paper, Experience and Recommendations Based on European Countries Approaches, DH&P, Michael Hosek, CNF, 2021)

- დაცულ ლანდშაფტებში, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე, ბიოსფერულ რეზერვატებში, ზურმუხტის ქსელის ტერიტორიებზე, დაცული ტერიტორიების გარეთ მდებარე ბიომრავალფეროვნებისათვის მნიშვნელოვან ტერიტორიებზე მიმდინარე მონიტორინგის პროგრამებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების მიერ დაცული ტერიტორიების გარეთ განხორციელებული კვლევებიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის არცერთ ქვეყანაში არ არსებობს სახეობებისა და ჰაბიტატების მონიტორინგის სისტემა განცალკევებულად დაცული ტერიტორიების ფარგლებში. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ თავიდანვე ეს სახეობებისა და ჰაბიტატების მონიტორინგის სისტემა ჩამოყალიბდეს ეროვნულ დონეზე⁸.

შესაბამისად, ტექნიკური დახმარებით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმა ეროვნულ დონეზე ფოკუსირებულია სახეობებისა და ჰაბიტატების მდგომარეობისა და ტენდენციების მონიტორინგისათვის არა მარტო დაცული ტერიტორიების სააგენტოს, არამედ ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერებაზე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შავ ზღვასა და შიდა წყალსატევებში თევზების, ზღვის ძუძუმწოვრების, ასოცირებული ჰიდროფაუნის, პლანქტონური და ბენტოსური უხერხემლოების, პლანქტონური და ბენტოსურის ალგოფლორის, მიკრობიოტის, თანმდევი წყლის ხარისხობრივი პარამეტრების კვლევა და მონიტორინგი არის **გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის ფუნქცია**⁹. შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს აღნიშნული დეპარტამენტის როლი და ფუნქციები.

- **ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი დაცული ტერიტორიების სისტემაში**

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ერთერთი ამოცანაა დაცული ტერიტორიების ფარგლებში მონიტორინგისა და სამეცნიერო კვლევების ორგანიზება, დაკვირვების მონაცემების დამუშავება, შენახვა და გავრცელება¹⁰. ამ ამოცანის განხორციელება ევალება **ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამმართველოს**¹¹, რომელიც ახლახან შეიქმნა დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის ფარგლებში. აღნიშნული სამმართველოს ფუნქციებში შედის დაცული ტერიტორიების ფარგლებში ბუნებათსარგებლობის ზედამხედველობა და მონიტორინგი სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან კოორდინაციით, ასევე, დაცულ ტერიტორიებზე მეცნიერული კვლევისა და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საქმიანობის ზედამხედველობა. ამავე სამმართველოს ფუნქციებში შედის დაცულ ტერიტორიებზე სამეცნიერო კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების მიზნობრივი დამუშავება, მათ საფუძველზე დაცული ტერიტორიებზე არსებული ეკოსისტემების და ცალკეული სახეობების აღდგენის, შენარჩუნებისა და კონსერვაციის სტრატეგიის შემუშავება.

ცხადია, დაცული ტერიტორიების სისტემის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად მიიღება ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემისათვის

⁸ Technical Background Paper, Experience and Recommendations Based on European Countries Approaches, DH&P, Michael Hosek, CNF, 2021

⁹ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულება, დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტროს 2018 წლის 19 აპრილის #2-255 ბრძანებით.

¹⁰ კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“.

¹¹ აღნიშნული სამმართველო დაცული ტერიტორიების სააგენტოში შეიქმნა 2022 წლის მარტში.

მნიშვნელოვანი მონაცემები და ინფორმაცია. შესაბამისად, დაცულ ტერიტორიებზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ამოცანები უნდა იქნეს შეჯერებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის მიზნებთან. ცალკეული ობიექტების მონიტორინგი კი ხორციელდებოდეს ეროვნულ დონეზე შეთანხმებული სტანდარტული მეთოდოლოგიებით, ისე რომ მოპოვებული ინფორმაცია და მონაცემები იყოს თავსებადი იგივე ობიექტების შესახებ სხვა წყაროებიდან (დაცული ტერიტორიების გარეთ) მიღებულ მონაცემებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე დაცული ტერიტორიების სააგენტოს დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კოორდინაცია (რაც უნდა იქნეს ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამმართველოს ფუნქცია) მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ცალკეული დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებთან ერთობლივად და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნულ პროგრამასთან კოორდინაციაში მონიტორინგის პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ზედამხედველობა;
- მონაწილეობა ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტების (ცალკეული სახეობების პოპულაციები, ჰაბიტატები, დაცული ტერიტორიების ფარგლებში წარმოდგენილი ეკოსისტემები, საფრთხეები, და ა.შ.) მონიტორინგისთვის სპეციფიკური სახელმძღვანელოების, სტანდარტული მეთოდოლოგიებისა და წესების შემუშავებაში;
- მონიტორინგის სტანდარტული მეთოდოლოგიების (სახელმძღვანელოების, წესების) სწავლება ცალკეული დაცული ტერიტორიებში მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტებისთვის;
- მონიტორინგის პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრა ცალკეული დაცული ტერიტორიების მიხედვით (ადამიანური რესურსები (საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ტრენინგები), ფინანსური რესურსები, ტექნიკური აღჭურვილობა);
- მოწვეული სპეციალისტების მიერ განხორციელებულ კვლევების კოორდინაცია;
- მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის ადმინისტრირება, ცალკეული დაცული ტერიტორიებიდან მიღებული მონაცემების შეტანა, დამუშავება, ანალიზი, ინტერპრეტაცია, მათ შორის გარე ექსპერტების ჩართულობით, საჭიროებისამებრ.

აღნიშნული მრავალმხრივი ფუნქციების განხორციელებისათვის საჭიროა ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამმართველოს დაკომპლექტება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით, დაცული ტერიტორიების სისტემის დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა, მჭიდრო კოორდინაცია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნულ სისტემასთან, ასევე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგსა და კვლევაში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამეცნიერო წრეებთან, დაცული ტერიტორიების ფარგლებში მათი კვლევების კოორდინაცია, ინფორმაციისა და მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მონიტორინგისთვის პრიორიტეტული სახეობებისა და ჰაბიტატების შერჩევა უნდა მოხდეს კოორდინირებულად ეროვნულ და დაცული ტერიტორიების სისტემის დონეზე. თითოეული დაცული ტერიტორიის შექმნის უმთავრესს მიზანს წარმოადგენს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების, ასევე, უნიკალური, იშვიათი ან საფრთხის წინაშე მყოფი ჰაბიტატებისა და ეკოსისტემების კონსერვაცია. ამ სახეობებისა და ჰაბიტატების მონიტორინგი (რომელთა დაცვის მიზნითაც დაცული ტერიტორიაც კი შეიქმნა) უნდა იქნეს ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის პრიორიტეტი. თავის მხრივ, ცალკეულ დაცულ ტერიტორიებში უნდა განხორციელდეს იმ ეკონომიკურად მნიშვნელოვანი, ინდიკატორი თუ საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისა და ჰაბიტატების მონიტორინგი, რომლებიც შერჩეულია ეროვნულ დონეზე ქვეყნის საერთაშორისო

ვალდებულებების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ეროვნულ დონეზე და დაცული ტერიტორიების სისტემის დონეზე მონიტორინგისთვის პრიორიტეტული სახეობები და ჰაბიტატები. მონიტორინგისთვის პრიორიტეტული სახეობებისა და ჰაბიტატების სიის კოორდინირებული განსაზღვრა მნიშვნელოვანია რესურსების (ფინანსური, ტექნიკური, ადამიანური) ეფექტური გამოყენების მიზნით.

როგორც აღინიშნა, სახეობებისა და ჰაბიტატების მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემა უნდა განვითარდეს ეროვნულ დონეზე, რათა შესაძლებელი იყოს მასში სხვადასხვა წყაროებიდან (მათ შორის, ცალკეული დაცული ტერიტორიებიდან) მიღებული მონაცემების თავმოყრა, კონსოლიდაცია, ანალიზი და ინტერპრეტაცია.

დაცული ტერიტორიების სააგენტოში ახლახან დაიწყო SMART (Spatial Monitoring and Reporting Tool)¹² მონიტორინგისა და პატრულების სისტემის დანერგვა, რომელის მთავარი მიზანია რეინჯერთა პატრულირების ხარისხის გაუმჯობესება და დაცულ ტერიტორიებზე კანონდარღულებასთან დაკავშირებული საკითხების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა და წარმოება. სამომავლოდ, იგეგმება SMART პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისთვის. გარდა აღნიშნულისა, იგეგმება, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტოს სახეობებისა და ჰაბიტატების მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის განვითარებაში მხარს დაუჭერს KfW-ს დაცული ტერიტორიების პროგრამა. დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის განვითარება დაცული ტერიტორიების სააგენტოში უნდა მოხდეს ეროვნულ დონეზე სახეობებისა და ჰაბიტატების მოდულის განვითარებასთან კოორდინირებულად. აღნიშნული სისტემები უნდა იყოს ურთიერთ თავსებადი, იძლეოდეს მონაცემთა ელექტრონული გაცვლის საშუალებას, შესაძლებელი უნდა იყოს მონაცემთა ისეთი ფორმატით არქივირება და შენახვა, რაც იძლევა სხვა წყაროებიდან მიღებულ მონაცემებთან კონსოლიდაციისა და ერთიანი გაანალიზების საშუალებას.

ტექნიკური დახმარებით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმა დაცული ტერიტორიების სააგენტოს დონეზე ფოკუსირებულია დაცულ ტერიტორიებში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კოორდინაციისა და ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამმართველოს შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩატარდება დამატებითი კონსულტაციები სახეობებისა და ჰაბიტატების შესახებ მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის/სისტემების კოორდინირებული განვითარების თაობაზე ეროვნულ და დაცული ტერიტორიების სისტემის დონეზე.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი ცალკეული დაცული ტერიტორიის ფარგლებში

ცალკეული დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობისა და მიზნების მიღწევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადაპტური მენეჯმენტის განხორციელებას, რაც უნდა ეფუძნებოდეს ბიომრავალფეროვნების სამიზნე კომპონენტების მონიტორინგის შედეგებსა და, შესაბამისად, უახლეს, მეცნიერულ და სანდო ინფორმაციასა და მონაცემებს. მონიტორინგის პროგრამები და მონაცემთა სისტემატიზაცია მნიშვნელოვანია ადაპტური მართვის

¹² <https://smartconservationtools.org/>

დაგეგმვისთვის, რაც გულისხმობს მართვის მიდგომებისა და სტრატეგიების უწყვეტ შესწორებებს მიღწეული შედეგების მიხედვით.

შესაბამისად, ცალკეული დაცული ტერიტორიების დონეზე მონიტორინგის პროგრამა უნდა იყოს სპეციფიკური და მისადაგებული მართვის კონკრეტულ მიზნებზე, რათა შესაძლებელი იყოს მართვის მიზნების მიღწევის პროგრესის შეფასება. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მონიტორინგისთვის პრიორიტეტული სახეობებისა და ჰაბიტატების დადგენა უნდა მოხდეს კოორდინირებულად ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ინტერესებთან, რადგან სწორედ ცალკეულ დაცულ ტერიტორიებში განხორციელებული მონიტორინგის პროგრამების საშუალებით ხდება მთელი რიგი პირველადი მონაცემების გენერირება ბიომრავალფეროვნების ინდიკატორების წარმოებისათვის ეროვნულ დონეზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ცალკეული დაცული ტერიტორიების მონიტორინგის პროგრამების შეჯერება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის მოთხოვნებთან და ინდიკატორებთან.

ცალკეულ დაცულ ტერიტორიებზე მონიტორინგი არ უნდა იყოს კონცენტრირებული მხოლოდ შერჩეული სახეობების პოპულაციების მონიტორინგზე, არამედ უნდა მოიცავდეს იმ ჰაბიტატებისა და ეკოსისტემების მონიტორინგსაც, რომელთა კონსერვაციის მიზნით შექმნილია დაცული ტერიტორია (მაგალითად, ტყის, ტორფნარების, ზედაპირული წყლის ობიექტების, ეკოსისტემური სერვისების მონიტორინგს).

დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებს უნდა ჰქონდეთ წვდომა დაცული ტერიტორიების სისტემის დონეზე მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემასთან, სადაც უწყვეტ რეჟიმში უნდა ხდებოდეს საველე მონაცემების შეტანა და განახლება.

ცალკეული სახეობების პოპულაციებისა და ჰაბიტატების მონიტორინგი ყველა დაცული ტერიტორიის ფარგლებში უნდა ხორციელდებოდეს უნიფიცირებული (სტანდარტული) მეთოდოლოგიების საფუძველზე, რაც არ გამორიცხავს ალტერნატიული მეთოდების გამოყენებასა და დატესტვას, რომელთა შედეგად მიღებული მონაცემების შეჯერება სტანდარტული მეთოდოლოგიებით მიღებულ მონაცემებთან, ხელს შეუწყობს სტანდარტული მეთოდოლოგიების შემდგომ განვითარებას და დახვეწას და გაზრდის ველზე აღებული მონაცემების სანდოობას.

ცალკეული დაცული ტერიტორიის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების ორგანიზება, ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების, არსებული ბუნებრივი ეკოსისტემებისა და გარეულ ცხოველთა და ველური მცენარეთა სახეობების აღრიცხვა და მონიტორინგი არის ცალკეული დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების ფუნქცია¹³, კერძოდ დაცვის განყოფილების ფუნქცია.

ცალკეული დაცული ტერიტორიების დონეზე ტექნიკური დახმარებით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმა ფოკუსირებულია ადმინისტრაციების შესაძლებლობების გაძლიერებაზე ბიომრავალფეროვნების პროგრამების ეფექტური განხორციელებისათვის.

3.2 ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ინსტიტუციური მოწყობის სქემა

¹³ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ტიპური დებულება“, დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #12 ბრძანებით

ქვემოთ დიაგრამაზე, ვიზუალურად წარმოდგენილია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის სახეობებისა და ჰაბიტატების მოდულის კოორდინირებული განვითარების სქემა. ნაცრისფერ ფონზე მოცემულია თითოეულ დონეზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ამოცანები.

მრჩეველთა
საბჭო

მონაცემთა
ინტერპრეტაციისათვის
დაკვეთილი კვლევები
(არასამთავრობო
ორგანიზაციები,
უნივერსიტეტები,
ინდივიდუალური
კონსულტანტები)

გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო,
ბიომრავალფეროვნებისა და
სატყეო დეპარტამენტი
(საკოორდინაციო ერთეული)

- ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნების ინდიკატორების განსაზღვრა;
- სტანდარტული მეთოდოლოგიების შემუშავება;
- მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფა;
- მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის ადმინისტრირება;
- მონაცემთა კონსოლიდაცია და ინტერპრეტაცია.
- მონაცემთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

- ანგარიშგება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე;
- პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრა;
- რეკომენდაციები საკანონმდებლო ცვლილებებისთვის;
- სახეობათა კონსერვაციის გეგმების შემუშავება.

ეროვნული სატყეო
სააგენტო

დაცული ტერიტორიების
სააგენტო

- მონიტორინგის პროგრამების შემუშავება და განხორციელების ზედამხედველობა;
- მონაწილეობა სტანდარტული მეთოდოლოგიების შემუშავებაში;
- მონიტორინგზე პასუხისმგებელი სპეციალისტების სწავლება/ტრენინგები;
- საჭირო რესურსების განსაზღვრა;
- კვლევების კოორდინაცია;
- მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის ადმინისტრირება.

დაკვეთილი კვლევები,
ასევე
არასამთავრობო
ორგანიზაციები,
უნივერსიტეტები
(მემორანდუმის
სათაობაილოზი)

დაცული ლანდშაფტების,
მრავალმხრივი გამოყენების
ტერიტორიების ,
ბიოსფერული რეზერვატების
ადმინისტრაციები,
ზურმუხტის ქსელი

ეროვნული სატყეო
სააგენტოს
რეგიონული
სამსახურები

ცალკეული
დაცული
ტერიტორიების
ადმინისტრაციები

- საველე კვლევების განხორციელება სტანდარტული მეთოდოლოგიების მიხედვით;
- მონაცემთა შეტანა მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემაში;
- წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება მონიტორინგისთვის პრიორიტეტული სახეობებისა და ჰაბიტატების შერჩევისთვის.

4. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკოორდინაციო ერთეულის სამართლებრივი სტატუსი და ინსტიტუციონალური სტრუქტურა

სამართლებრივი სტატუსი

როგორც ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ინსტიტუციური მოწყობის კონცეფციაშია მოცემული (თავი 3, დიაგრამა 1), ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კოორდინაციას ეროვნულ დონეზე განახორციელებს ბიომრავალფეროვნების და სატყეო დეპარტამენტი, რომელიც წარმოადგენს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

ინსტიტუციონალური სტრუქტურა

5. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკოორდინაციო ერთეულის ორგანიზაციული და ოპერაციული მოდელი

ორგანიზაციული სტრუქტურა;

სამინისტროსა და დეპარტამენტის დებულებებში საჭირო ცვლილებები

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკოორდინაციო ერთეული, როგორც სპეციალისტების ჯგუფი, ჩამოყალიბდება ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების სამმართველოში.

ერთეული შედგება მინიმუმ 6 წევრისაგან:

ჯგუფის ხელმძღვანელი;

მუშუმწოდვრების სპეციალისტი

ორნითოლოგი;

იქთიოლოგი;

ბოტანიკოსი;

GIS სპეციალისტი

6. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკოორდინაციო ერთეულის მიზნები და ამოცანები

NBSAP (2014-2020) – ეროვნული მიზანი C.1

2020 წლისთვის დადგენილია ბიომრავალფეროვნების სტატუსი (სახეობებისა და ჰაბიტატების მდგომარეობა) სამეცნიერო-საბაზისო ცოდნის გაუმჯობესებისა და მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის შექმნის გზით.

NEAP - ამოცანა 11.4. ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის სისტემის გაუმჯობესება

ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვისა და კონსერვაციისათვის აუცილებელია მონაცემების არსებობა ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შესახებ. შესაბამისად, ამოცანის ფარგლებში დაგეგმილია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს მონიტორინგის მეთოდოლოგიის სრულყოფას, მონაცემთა დამუშავებისა და შენახვის

ელექტრონული სისტემის ჩამოყალიბებასა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფს.

NEAP-ის მიხედვით ამ ამოცანის ფარგლებში დაგეგმილია:

- მონიტორინგის მეთოდოლოგიის სრულყოფა;
- მონაცემთა დამუშავებისა და შენახვის ელექტრონული სისტემის ჩამოყალიბება;
- შესაბამისი ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა;
- შერჩეულ ცხოველთა სახეობების და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მცენარეების პოპულაციების კვლევები;

გარემოს დაცვის მოქმედებათა მე-4 პროგრამით განსაზღვრული მიზნის (ბიომრავალფეროვნების დაცვა, ეკოსისტემური მომსახურების შენარჩუნება და ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა) მიღწევის ინდიკატორია:

სახეობათა რაოდენობა, რომელთათვისაც შემუშავებულია მონიტორინგის/რესურსის შეფასების მეთოდოლოგიები და ხორციელდება პერიოდული კვლევები როგორც დაცული ტერიტორიების ფარგლებში ისე მათ გარეთ.

NEAP-ის მიხედვით საბაზისო მდგომარეობით 2021 წელი - მონიტორინგის შეფასების მეთოდოლოგია შემუშავებული 5 სახეობისათვის და 2026 წლისათვის დასახულია, რომ მეთოდოლოგიები შემუშავებული იქნება 23 სახეობისათვის.

NEAP-ით განსაზღვრული ერთერთი ამოცანაა (ამოცანა 6.3.) ზუთხუსებრთა სახეობების რაოდენობა, რომელთა შესახებ ხელმისაწვდომია მონაცემები და ინფორმაცია და დასახული, რომ 2026 წლისათვის სულ მცირე 3 სახეობისთვის უნდა იყოს მონაცემები ხელმისაწვდომი.

8. საჭირო ადამიანური რესურსები

მონიტორინგის სამმართველოს საშტატო ნუსხა ფუნქციების აღწერით


განყოფილება	პოზიცია	რაოდენობა	ფუნქციების აღწერა

9. საჭირო ტექნიკური რესურსები

კომპლექსურობიდან გამომდინარე, არ არის მიზანშეწონილი სახეობებისა და ჰაბიტატების მოდულის განვითარება რომელიმე ამაჟამად არსებული (ან განვითარების ეტაპზე მყოფი) საინფორმაციო სისტემის ფარგლებში. რეკომენდირებულია, დამოუკიდებელი პლატფორმის (მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის) განვითარება, თუმცა, ეს პლატფორმა უნდა იყოს თავსებადი ამაჟამად განვითარების ეტაპზე არსებულ სხვა პლატფორმებთან, როგორცაა

მაგალითად ტყის ინვენტარიზაციისა და მონიტორინგის სისტემა (FIMS)¹⁴ ან გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემა¹⁵, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება ტექნიკურად.

დიაგრამა 2. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის პლატფორმის სტრუქტურა



ასევე, შესაძლოა განხილული იქნეს, ტყის ინვენტარიზაციისა და მონიტორინგის სისტემის (FIMS) გაფართოების საკითხი, თუ კი არსებობს ამის ტექნიკური შესაძლებლობა და მის ფარგლებში სახეობებისა და ჰაბიტატების მოდულის ინტეგრირება. თუმცა ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს სისტემის სახელწოდებისა და დანიშნულების შესაბამისი ცვლილებები.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მიზნით საინფორმაციო სისტემის (მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის) განვითარება იგეგმება პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) მხარდაჭერით.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩატარდება დამატებითი კონსულტაციები სახეობებისა და ჰაბიტატების შესახებ მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის/სისტემების კოორდინირებული განვითარების თაობაზე ეროვნულ და დაცული ტერიტორიების სისტემის დონეზე.

10. მდგრადობა

11. თანამშრომლობა და პოტენციური პარტნიორები

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი ყველა დონეზე მოითხოვს თანამშრომლობას ტექნიკურ პარტნიორებთან და დონორებთან. ბიომრავალფეროვნების ზოგიერთი ობიექტის მონიტორინგი შესაძლოა განხორციელდეს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების სპეციალისტების

¹⁴ FIMS-ის განვითარება მიმდინარეობს GIZ-ის პროგრამის ECOserve-ს მხარდაჭერით და წარმოადგენს ტყესთან დაკავშირებული მონაცემების ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზას, რომელიც მოიცავს მუდმივად განახლებად ინფორმაციას ტყის მართვის შესახებ.

¹⁵ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის (emoe.gov.ge) საშუალებით ხორციელდება ბუნებრივი რესურსების მოპოვების კონტროლი და ზედამხედველობა. სისტემაში შედის მერქნული რესურსების ადრიცხვის მოდული, სახერხი საამქროების ადრიცხვის მოდული, შავ ზღვაში თევზჭერის ადრიცხვის მოდული, იგეგმება აქაკულტურის მოდულის განვითარება. სისტემა ძირითადად გამოიყენება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და მეწარმე სუბიექტების მიერ.

მიერ. მაგრამ, ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ექნება სამეცნიერო ინსტიტუტების/არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ცალკეული სახეობების/სახეობათა ჯგუფების სპეციალისტების მიერ განხორციელებულ საველე კვლევებს.

სამეცნიერო სექტორის ჩართულობა აუცილებელი იქნება სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემთა კონსოლიდაციისათვის, სიღრმისეული ანალიზისა და ინტერპრეტაციისათვის, სხვადასხვა ფაქტორების დასაკავშირებლად ტრენდის გამომწვევი მიზეზების გამოვლენის მიზნით.

გარე ტექნიკური დახმარება აუცილებელია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სტანდარტული მეთოდოლოგიების შემუშავებისათვის.

ამასთან, ძალიან მწირია ცალკეული სახეობებისა და ჰაბიტატების მონიტორინგისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება. ამიტომ, მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებაში ყველა დონეზე, დაფინანსების მთავარ წყაროდ დარჩება დონორი ორგანიზაციები და მათი მხარდაჭერით მიმდინარე პროექტები.

13. მონიტორინგისთვის შერჩეული სახეობები და ჰაბიტატები და სამომავლო მასშტაბი

NBASP-ის სახეობები

1. ქურციკი
2. ირემი
3. ნიამორი
4. ხელფრთიანები
5. მურა დათვი
6. ევრაზიული წავი
7. გველგესლები
8. კავკასიური სალამანდრა
9. ლეოპარდი
10. ჯიხვი
11. წყალმცურავი და მენაპირე ფრინველები
12. ლეშიჭამია ფრინველები
13. ზუთხისებრნი (NEAP-ის თანახმად ზუთხისებრთა თევზების მონიტორინგის პროგრამის შემუშავება უნდა მოხდეს WWF-თან პარტნიორობით, 2023 წლის მე-4 კვარტლისათვის 79,500 ლარი ბიუჯეტი, დამფინანსებელი WWF)

14. საპილოტე დაცულ ტერიტორიებზე პილოტირების შესაძლებლობა

7. სამოქმედო გეგმა

ქმედება	ინდიკატორი	არსებული მდგომარეობა	დასრულების და/ან დაწყების საორიენტაციო ვადები	ბიუჯეტი / საოპერაციო ხარჯები (ლარი)	დაფინანსების წყარო	პასუხისმგებელი განხორციელებაზე და პარტნიორები
ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკოორდინაციო ერთეულის დაკომპლექტება 6 სპეციალისტი და ჯგუფის ხელმძღვანელი	ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტში სრულადაა დაკომპლექტებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკოორდინაციო ერთეული	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკითხზე მუშაობს მხოლოდ ერთი სპეციალისტის, რომელიც ასევე ასრულებს სხვა დავალებებს	2024		სახელწმიფო ბიუჯეტი ???	სამინისტრო/დეპარტამენტი ???
ტექნიკური აღჭურვა კომპიუტერები და ა.შ						
მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის განვითარება პლატფორმის შერჩევა ექსპერტის დაქირავება - სახეობებისა და ჰაბიტატების მოდულის თავსებადობის შეფასება						

არსებულ პლატფორმასთან ((FIMS)						
ზუთხისებრთა მონიტორინგის პროგრამის შემუშავება	მონიტორინგის პროგრამა შემუშავებულია ზუთხისებრთა 6 სახეობისათვის მონაცემები და ინფორმაცია ხელმისაწვდომია სულ მცირე 3 სახეობისათვის	არ არსებობს მონიტორინგის უნიფიცირებული პროგრამა, რომელიც შეთანხმებულია დაინტერესებულ მხარეებთან	2026 [დასრულება]	79,500	WWF	WWF
ველური ბუნების კვლევა და მონიტორინგი კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედების კონტექტსში (ნეპ)	შეირჩა საკვლევ ტერიტორიები და სახეობები, შემუშავდა კვლევის გეგმა და მეთოდოლოგია. კვლევის პარტნიორები შეთანხმდნენ დახეობებზე და კვლევის			825,000		SIDA
მცენარეთა სახეობების მონიტორინგის/რესურსი ს კვლევის მეთოდოლოგიების მომზადება და რესურსის კვლევა	მომზადებული მეთოდოლოგიები მცენარეთა 3 სახეობისათვის. განხორციელებული კვლევა 5 სახეობისათვის					
ფლორისა და ფაუნის მონაცემთა ელექტრონული ბაზების შექმნა						
მონიტორინგის სახეობების სიის დაზუსტება						

უცხო ინვაზიური სახეობების სიის შედგენა მონიტორინგისთვის, მონიტორინგის წარმოების მეთოდოლოგიების/ სახელმძღვანელოების შემუშავება და დანერგვა						
შიდა წყლების ეკოსისტემების მონიტორინგის პროგრამა						
შავი ზღვის სარეწაო თევზების პოპულაციების მდგომარეობის მონიტორინგი						

ინსტიტუცია	ქმედება	ინდიკატორი	არსებული მდგომარეობა	დასრულების და/ან დაწყების საორიენტაციო ვადები	სავარაუდო ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო	პასუხისმგებელი უწყება/პარტნიორ ორგანიზაცია
ბიომრავალფეროვნების სატყეო დეპარტამენტი							
დაცული ტერიტორიების სააგენტო და ადმინისტრაციები							
სხვა დაცული ტერიტორიები/დაცული ლანდშაფტები							

დანართი. დაინტერესებული მხარეების სია, რომლებთანაც ჩატარდა კონსულტაციები

(კომუნიკაცია განხორციელდა პირადი შეხვედრებით, ტელეფონის, Skype-ის ან Zoom-ის საშუალებით)

1. თამარ პატარიძე, თეა ბარბაქაძე, ტანია როსენი, ტობიას მიუნხამიერი, კავკასიის ბუნების ფონდი (CNF);
2. მაკა ბიწაძე, WWF კავკასიის პროგრამის ოფისი;
3. თომა დეკანოიძე, დაცულ ტერიტორიების სააგენტო;
4. კარლო ამირგულაშვილი, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
5. თეონა ქარჩავა, დაცული ტერიტორიების სამმართველო, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
6. სალომე ნოზაძე, დაცული ტერიტორიების სამმართველო, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
7. ნონა ხელაია, ბიომრავალფეროვნების სამმართველო, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
8. შალვა ნოზაძე, ტყის პოლიტიკის სამმართველო, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
9. ირაკლი გორაძე, UNDP.